

გაზეთის ღირსება:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — 1 რთი შურის

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: **მარიამის**
ნიკოლოზის ქუჩა, № 10

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამარტ. საზოგადოების კანტორის ფსა განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრუქტურის პირველ გვერდზე 16 კიმ., მეოთხეზე — 8 კიმ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის

ქართული თეატრი

გვირგვინი, 6 დეკემბერს,

ქართულის დრამატულის საზოგადოების არტისტებისაგან **მ-5 მისისი** და **ბ-5 მუნისა** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I პირველი ხუზი

კომედ. 3 მოქმედ. თხზ. ვ. ველიჩკოსი, თარგ. ვ. გუნიასი.

II პირველად ახალი პიესა

გამარჯვებულებს არა სჯიან

კომედ. 2 მოქმ., თარგ. ანა მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქანი **მისი**, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, გარელი; ბ-ნი აბაშიძე, მესხი, გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, ხოსროვი და სხვ.

ბავშვების ფსა დაკლებულა. დასწოისა სწორად 8 საათზე და რევიორნი **მ. აბაშიძე** და **პ. მისი**.

სუთმაბათს, 10 დეკემბერს, ბენეფიცი ქ-ნ ე. ჩერქეზიშვილისა.

ახალი ამბავი

* კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში გაუგზავნა ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს ბეკედითის საქმის მთავარ-სამმართველოს საყოველთაო მიწერილობა იმის შესახებ, რომ სახალხო წიგნთ-საცავები და სამკითხველოები დაარსებულ იქმნას შემდეგში იმ წესების მიხედვით, რომელიც 1890 წელს 16 მაისს იქმნა დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ხოლო იმ სამკითხველოების და წიგნთ-საცავების წესდებანი, რომელთა დაარსების დროს ამ წესებით არ უხელმძღვანელო. შესწორებით უნდა იქმნას ამ წესების მიხედვით.

* ამას წინადად მომხდარს ბალოსანთა კრების დადგენილებათა შესამუშავებლად და სისრულეში მოსაყვანად, გაზეთების სიტყვით, რუსეთის საიმპერატორო სახალხო საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში განსაკუთრებული კომისია აარჩია. კომისიის წევრებად არიან: მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ა. ნ. სულთან-კრიმ-გირეი, მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გევესკო, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, გ. ი. გოგოლი-იანოვი, ნ. ნ. შავროვი, ი. გ. ქუთათელიძე, ვ. ვ. როდულოვიჩი და ა. ე. კლაუსენი.

* 4 დეკემბერს ქალაქის გამგეობა იმის ბეობაში იყო, რა პასუხი გასცეს ბ-ნ გუბერნატორს, რომელმაც რამდენჯერმე სთხოვა წარმოგვიდგინეთ თქვენი მოსაზრება შესახებ იმისა, რა მიზეზებია, რომ პოლიციის შესანახად იმაზედ მეტის ფულის მოცემა არ შეგიძლიათ, რასაც აქამდე იხდიეთ. ქალაქის გამგეობაში წარმოითქვა ის აზრი, რომ ქალაქის შემოსავალს არ ემატება, პირ-იქით, რაც მეტივეებს გარდასახდს არ ართმევენ, შემოსავალმა იკლო, გარდა ამისა ხარჯი მოგვემატა ქალაქის განათებისათვის, წყლის მილის განკარგებისათვის და სხვ.

* დღეს, 5 დეკემბერს, ხმოსან-ტენიკოსებისაგან შემდგარმა კომისიამ უნდა გასინჯოს რეგისტრები, რომლებიც ცხენის რკინის გზის საზოგადოებას მოუშვებდნენ. ახალი რეგისტრები საჭირო იქმნება მაშინ, როდესაც ელექტრონის გზის გამართვას შეუდგებიან.

* 1899 წლის 1 იანვრიდან აუქიბულის სადგურზე დაარსდება სამკითხველო რკინის გზის მოხელეთათვის. საჭიროა, სხვა სადგურებზეც დაარსდეს ასეთი სამკითხველოები.

* ტფილისის ქალაქის საბჭო ერთ-ერთს მამავალს კრებაზედ განიხილავს მოხსენებას იმის შესახებ, თუ

როგორ ჰყოს ქალაქმა სახალხო პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადებისდგან ასის წლის შესრულება.

* ორშაბათს, 7 დეკემბერს, ქალაქის საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, მოხსენებას სახალხო თეატრის აგების შესახებ.

* ამ ბოლოს დროს უცხო-ქვეყნებიდან აუარებელი აბრეშუმის თესლი შემოუტანიათ ჩვენს ქვეყანაში გასასაღებლად. მართო ტფილისში „ათინას“ სასტუმროში ინახება თურმე 100,000 კოლოფი თესლი. როგორც ამბობენ უმეტესი ნაწილი ამ თესლისა უფარგისია, ამიტომ საჭიროა ჩვენმა მეაბრეშუმეებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და ფრთხილად მოიქცნენ აბრეშუმის თესლის შეგების დროს.

* ტფილისში უძველესის მეტეის ეკლესიის ყავრული მეტად დაძველებულა, და თუ ამ მცირე ხანში არ შეკეთდა, საშინლად დაზიანდება. სასურველია, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

* ამ რამდენიმე ხნის წინადად რიყის სახლის-პატრონებმა შეამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ საჭირო ფული მიეცეთ იმ სახლების შესაკეთებლად, რომელნიც წყალდილობის დროს დაზარალებულ იქმნენ. როგორც „ახ. მიმ.“-ს იუწყება, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ არ შეიწყინარა ეს შუამდგომლობა.

* მკითხველებს გსომებათ უთუოდ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა ამ გზის ზოგიერთი სადგურის ელექტრონიზაცია, ესა, „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, უკვე შესდგომიან მუშაობას ბაქოსა და ხაშურის სადგურების განათებაზედ ელექტრონიზაციაზე.

* სიღნაღიდან სწორენ „კავკას.“-ს, რომ 29 ნოემბერს აკურთხეს სოფ. ახალ-ალექსანდროვკაში სამრევლო-საეკლესიო სკოლა, დაარსებული ამ სოფლისა და კელმენჯის თვის. სკოლის კურთხევას დაესწრნენ სიღნაღის მაზრის უფროსი, სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე მღვ. ი. მარიანაშვილი, ბოლბისის მონასტრის წინამძღვარი ილუმენია იუვენალია, ბოქალის თავ. ა. ჯორჯაძე და მრავალი ხალხი. ახლად დაარსებულ სკოლის მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ქანი ნ. ნ. ხელაშვილი. სკოლაში მიუღიათ 90 მოწაფე.

* როგორც „ახ. მიმ.“-ს სწერენ, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის გადაეცა განახლებულად საგანი ბათუმის დედათა სასწავლებლის შვიდ კლასიან გიმნაზიად გადაკეთების შესახებ.

* სიღნაღი. ეს ქალაქი, როგორც მოგვხსენებთ, ცნობილია უწყლო-

ობით. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სიღნაღში ასაშენებელი სამხედრო ყაზარმები თელავში წამოაქიმეს. სიღნაღს წინადად ექვსი წყარო აცხვრებდა, რომელთაგან ეხლა ორი აღარ არის, რადგან გაფუჭდა, წყალი გაიპარა და გამკეთებელი არ ამოუჩნდა. დანარჩენ 4 წყაროთაგან დღეს ორია — „თავ-გატეხილა“ და „ანაგის ხევის წყალი“, რომელიც სულს უდგამს სიღნაღის მკვიდრთ, რადგან გემრიელს და უწყინარს წყალს მართო ეს ორი წყარო იძლევა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ორი წყაროც უზატრონოდ და უყურადღებოდ არის და, ადვილად შესაძლებელია, ამ წყაროებიდანაც გაიპაროს წყალი, თუ ქალაქის გამგეობამ ეხლავე ღონისძიებას არ გაუწიოს.

24 ნოემბერს ქალაქის გზირები აღარ გამოვიდნენ სამსახურში. ეს გარემოება იმან გამოიწვია, რომ აგერ სამი თვეა, რაც ჯამაგირი არ მიუღიათ თურმე. თითო გზირს თვეში თორმეტ მანეთ ნახევარი ეძლევა ჯამაგირად და ესეც თუ დროზედ ვერ მიიღო, როგორ უნდა დარჩინოს თავი და ასაზრდოვოს ცოლ-შვილი. ნეტავი ქალაქის გამგეობის წევრებიც სამის თვის შემდეგ იღებენ ჯამაგირს, თუ ყოველ თვის ოცში?! სწორედ შიშობის პრაღი უნდა იყოს, რომ აქაური გზირები როცა ორ-სამ კაცს დანიახვენ დუქანში, მაშინვე იქ შეიბრუნენ, იქნებ ერთი ქიქა ღვინო და ერთი ნატეხი პური გვითავაზონო. სადაც საჭიროება მოითხოვს, იქ-კი სანთელით საძებნენი არიან აქაური გზირნი.

სიღნაღში საშინელი სიძვირეა ყველაფრისა: საყენი შეშა ჰფასობს 30—32 მან., პურის ფქვილი ერთი ფუთი — 1 მ. 60 კაპ., სიმინდისა — 1 მ. 10 კაპ., კომბოსტო — 50 კაპ., გირვანქა ძროხის ხორცი — 7 კაპ., ცხვრისა — 8 კაპ., ღორისა — 8 კაპ., ყველი — 20 კაპ., 3 კვერცხი — 5 კაპ. ახლა უნდა იკითხოთ, როგორ საქონელს ჰხოცენ აქ: სწორედ გული ატრევა კაცს, რომ შეხედავს, მაგრამ რა ვქნათ, როცა უკეთესი არ არის. კარგა ხანია, რაც აქეთვე მშვენიერი ამინდები სდგას. სოფლის ხალხმა, ვისაც-კი მუშა საქონელი გაჩნდა, სულ დახნა-დათესა მინდვრები.

* „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, ის დუხბარება, რომელნიც კორის მანქანაში სცნობდნენ, ბათუმში წასვლას, სადაგანც დეკემბრის შუა-რიცხვებში კანადაში გაემგზავრებან თურმე.

* 4 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ალტაფასთან მატარებელზე უნდა შემხტარყო ფოთის მცხოვრები კონსტანტინე ივანის ძე გვრგია, ფეხი დაუშვა, მატარებელ ქვეშ ჩავარდა, ძლიერ დაზავდა და ორის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

* გაზ. „ტფ. ფ.“-ს გორის მაზრის სოფ. გვერდითიდან სწერენ: ამას წინადა

დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.

იყიდება: უძვირესესი საჩუქრები დღესასწაულებში მისართმევედ, ოთახების მოსართმევედ, საწერლო მაცივებისა, კუთხეების და კედლების შესამკობად და სხვანი.

ქვე ისაიდება მრავალგვარი აბრეშუმეული და ფანჯა ჩინეთისა (თეთრეულეებისათვის).

იყიდება აგრეთვე შიპონილი ხალათები, ჭაბუკი და სხვა.

ლორის-მედიკოსის ქუჩა, ზუბალკის სახლი, სემენოვის შირაზბერ, იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.

(3—5.—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კავკასიაში, ვორონოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩაქავანი, 9—10 საათ. სნეულეობანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბახანსაძე. — დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. თ. პრატსკეიანი — 12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ბ. ზ. კანაშვილი. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგია. 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოაობით:

გ. მ. მანგაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ნ. შავკოვაი — 6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულეობ.

ბ. ა. ნავასარდიანი — 6 1/2—7 საათ. ტ. ა. რუდეკე — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად

შარდეს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფსი ათი შურის; დარბთათვის უფასოდ; ფსი კონსილიუმისა და პერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დაქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. Первая частная лечебница Д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памяти. Воронцову. (ფ)

მთავრობის განკარგულებანი

ებობა სასუქის ოქტის გუდაუთის ნაწილის უფროსს ზარბუჯს ჩიქოვანს — შტაბს-კაპიტანობა.

დანიშნულ იქმნენ: კავკასიის სამხედრო ოქტის ჯართა უფროსის განკარგულებაში მუფთა გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი — ვაჟანის სამხედრო ოქტის ჯართა უფროსის განკარგულებაში; ვეიდენბაუმი — ტფილისის გლეხის საქმეთა სჯერებულას წევრ-საქმის მწარმოებლად.

გადაყვანილ იქმნა ლეიტენანტის მამაკელები მისამართელ მამულიანი შვილი — ბაქას მაზრის მომრიგებელ მისამართელად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობადგან, თავისისავე თხოვნით, ბაღთაის ჯანსუკის უფროსის თანამდებულ კალიაშვილი.

ჩვენის სოფლის მახლობლად გაძარცვეს ახალ-ქალაქის მახრის საერაობა დარაჯის ურადნიკი გვარამაძე. გვარამაძე შინ მოდიოდა. გზაში ღამე ვილაქ ასი მივიდა იმასთან და პაპიროსი სთხოვა, როდესაც გვარამაძე ჯიბიდან პაპიროსი იღებდა, უკან დიდად სხვა ასი მიგზარა და ხელში მოუგვრინა, ხოლო მეორე ოსმა ყელში წაუჭირა ხელი. შემდეგ ჯიბე მოსჭრეს და სადღაც წვიმდნენ. ჯიბეში გვარამაძეს 135 მანეთი ჰქონია. ორი ყახალთავანი გვარამაძეს უცნია, ორივე ოსები ყოფილან, ერთი ტიბილაშვილი და მეორე—ბესტაშვილი.

ტფილისის გუბერნატორის მიერ დანიშნულმა კომისიამ, რომელიც შესდგება პოლიცემისტების თანაშემწის ბ-ნ კვავაძისა, სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორისა, ქალაქის მკურნალისა, გუბერნიის ტენიკოსისა და გამგეობის წევრის ბ-ნ ხოსროვისაგან, 3 დეკემბერს დაათვალიერა თავ. მუხრან-ბატონის მამული იარმუკაში.

ტფილისის პოლიცემისტებმა განკარგულენა მოახდინა, რომ სასახლის ქუჩაზედ დარაჯები დაეყენონ, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ ამ ქუჩაზედ ეტლების მოძრაობას და მიმოსვლას. ეს განკარგულენა გამოიწვია იმან, რომ სასახლის ქუჩაზედ მეეტლები ძალზედ დაარბენინებენ ეტლებს, რაიცა წესიერ მოძრაობას ხელს უშლის.

ს. ოფ. გარე ჯვარი. 30 ნოემბერს, ღამე, აქაურ გლეხს ლორიგლიჯაშვილს ქორთობა სახლი გალოცეს და რაიცა რამე იმეფეს, სულ წაიღეს. წინა დღეს გლეხს ღამეში მისი სინიონი გაეყარა 50 მანეთისა და ამ ფულით თავისი დანიშნულ ქალისათვის მზითვეი ეყიდა. იმ ღამეს შინ ამოსულიყო და მთლად ნაფაქრი ახალ სკივრში ჩალაგებული ოთახში შეეტანა. ამ გლეხს ორი ოთახი უდგას და ორივე ოთახს ერთი შესავალი კარი აქვს. ბორც-გამზრახველნი კარებიდან რაკი ვერ შესულიყვნენ, ასულიყვნენ ბანზედ, აენგრიათ ჭერი და რა-კი მოხვედროდათ, სკივრი, მზითვეი, ფქვილი, ლობიო, კარტოფილი, ქვაბი, ქოთანი, სულ ერთიანად წაეღოთ. ანთებული სანაბი შიგვე გაეშვათ. გარეთ რომ გამოსულიყვნენ, რაც საქათმეში ქათმები დაზხვედროდათ, დაეხოცნათ და წაეღოთ. მეორე დღეს ქათმის თავები სოფლის თავში ეგნახის ღობეზედ ნახეს დაკიდული. იქვე დარჩნულიყო კომბლეტიც. როგორც ეტყეო-

ბოდა, ურმით წაეღოთ ნაპარვეი საქონელი. გაქურდულ გლეხის ცოლ-შვილი რომ გენახათ, იტყოდით, ორი ცხედარი უდგეთ სახლშიო, ისე სტიროდნენ. ამ ორი კვირის წინად ფ. მურადაშვილს დაუწვეს ერთი დიდი ძირი თივა. ბორც-გამზრახველნი ჯერაც ვერ აღმოუჩინათ.

წერილი კავკასიელთა

კავკასიის ქართველებისათვის წრე-ვანდელი წელიწადი ბედნიერი იყო. ეხლა ეკლესიაც, სკოლაც და მღვდელიც საკუთარი ჰყავთ და სიამოვნებით ისმენენ საღმრთო მსახურებას მშობლიურს ენაზედ. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე მრევლი კავკასიის ქართველებისა, როგორც უწყმიდესის სინოდის ცნობებიდან სჩანს, რომელიც მიუღია ყ-დ სამღვდელთა კავკასიის ეპისკოპოსს ვლადიმირს, უკვე გაიხსენება და ოფიციალურად გამოცხადდება ამ ორს დღეში. ყველა ქართველები კავკასიისა და მისს არე-მარეში მცხოვრებნი მიეწერებიან კავკასიის სკოლის ეპისკოპოსს. ამასთან ყ-დ სამღვდელთა ვლადიმირს უკვე მიუღია ცნობები, რომ პირველ იანვრიდან ქართველი მღვდელი მიიღებს წლიურად 400 მანეთს, ხოლო მეორე 120 მანეთს. ამნაირად ფრიალ სასიამოვნოა, რომ კავკასიის ეპისკოპოსმა ასე მამობრივის სიყვარულით შეხედა აქაურს ქართველებს და იღვწის მათდა სასარგებლოდ. აღსანიშნავია აგრეთვე ის რჩევა-დარიგება, რომელსაც აძლევს ყოველად სამღვდელთა ქართველების მღვდელს მამა გ. ნათაძეს. როგორც გამოცდილის მისიონერის ყოველად სამღვდელთა ვლადიმირის რჩევა და დარიგება ფრიალ სასარგებლოა და ნაყოფიერი აქაურის ქართველებისათვის. აქ მოვიყვანთ მცირე ცნობას ქართულის გალობის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო აქაურ „სა-

ქარაქო უწყების“ უკანასკნელ ნომერში. „На литургии некоторыя пѣснопѣнія были пропѣты учениками грузинской школы на грузинскомъ языкѣ. Въ нашихъ грузинъ слышалось, что то дѣвственъ, изъ глубины вѣковъ идущее. Пѣніе это, прежде всего, просто. Нѣтъ въ немъ ни одного вычурнаго пассажа, ни выкриковъ. Но въ немъ есть иное богатство: сердечность и глубина непосредственнаго религіознаго чувства; въ немъ поетъ не искусство, а душа, поетъ сердце, полное любви къ Богу, готовое служить своему Создателю. Прѣдъ освященіемъ храма каедральнымъ протоіереемъ было совершено освященіе воды, при которомъ многія пѣснопѣнія были пропѣты тѣми же учениками. Пѣніе было все тоже задушевное и глубоко трогательное. Напѣвъ стоять того, чтобы на нихъ обратили вниманіе и воспользовались частью изъ сокровищницы религіознаго жизни и чувства единовѣрныхъ намъ грузинъ“ (ი. Епარх. вѣд. № 22. 15 ნოემბრისა გვ. 410).

ეს შენიშვნები ეკუთვნის დეკანოზს მ. კოლბიკოვს, რომელიც საზოგადოდ კარგი მკოდნე უნდა იყოს ეკლესიური საგალობლებისა და მათის ღირსებისა. ბავშვები ჰგალობდნენ ბ-ნის ბენაშვილის მიერ გადაღებულ საგალობლებს ოთხს ხმაზედ. ეს შენიშვნები მ. კოლბიკოვისა უფრო მისთვის ამოვსწერეთ, რომ დაგვეჩვენებინა ზოგიერთებისათვის, რომ მღვდელიც ამბობენ, რომ ბ-ნ ბენაშვილის ქართული გალობის კილო დამახინჯებული აქვსო და სხ. ჩვენც კი გვგონია, რომ ბ-ნმა ბენაშვილმა ბევრი სხვების მიერ მუსიკის მხრივ დამახინჯება ააცილა ქართულს გალობას და გამოიყვანა ასე, როგორც ყოფილიყო. ამ საკითხს ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით.

გ ა კ ვ რ ი თ

(„სამეცნიერო“ რედაქციის საპასუხოდ). ეს არის, ეხლა მივიღე „კვალის“ უკანასკნელი, მე-49 ნომერი. წავიკითხე და თავს არ დავუჯერე: შიგთქვენის უმოკრილოების მრნის, ე. ი.

ჩემი, ქება და ღიღბა ამოვიკითხე. ამ ამბავს არც თქვენ დაიჯერებთ, რადგან კარგად იცით „სამეცნიერო“ „კვალის“ გულ-ძვირობა: იგი თავის თავისა და თავისის სულ-ჩამდგმელების გარდა, სხვას არავის მოუწონებს საქციელს და ცოდნას. მართალია, ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ახლა ცხადი ამბავია. მართლაც-და, მე დიდ ქებად მიმაჩნია, რომ თურმე იგივე ღირსება და ნაკლებეფანება მქონია სამეცნიერო სარბილზედ, რაიც ყველასაგან ეგრობაში მეცნიერად მიჩნეულ ბ-ნ გუსტავ ლებონს. „არც მას და არც მე ლოლია არ გვწყალობს“; „ლებონი ისტორიის მართო უკანასკნელზე (ეგ შევნიერი სიტყვა უთუოთ მესამე დასის „დასმულია“) დასცქერის. მეც“; „არც მე და არც ლებონს მეცნიერებასთან საერთო არა გვაქვს-რა“; „ლებონი მოლათაიეა. მეც“; „ისიცა და მეც მეტაფიზიკური რამე-რუმეებით ვმასპინძლობთ მკითხველებს“ და სხ. ეხლა ხომ ცხადია, რომ „სამეცნიერო“ ნახატებიანმა „კვალმა“ მეცა და ლებონსაც ერთგვარი სამეცნიერო დიპლომი მოგვცა. ლებონი ეგრობაში საუკეთესო მეცნიერადაც ცნობილი. მაშასადამე, დღეის იქით მეც უფლება მეძლევა (ხომ ჰხედავთ, ეს უფლება „სამეცნიერო“ „კვალმა“ მომანიჭა და, აბა, ვინც ბიჭია, ამის წინააღმდეგობას გაჰხედავს!) ეგრობას გადაჭრით მოვთხოვო მეცნიერად მიცნობდეს... ჩემი თავმოყვარეობა ამით სრულიად დაკმაყოფილებულია და, რაკი ეს ჩვენ-

*) საკვირველია ცოდვილი ზოგიერთის ადამიანისა: არა, სად „სამეცნიერო“ რედაქციის რომელსამე კუთხეში ამონახული ჰომუნკალი და სად ლებონის მეცნიერებაზედ ბასი. მეცნიერება ქუჩის ლაყბობა-კი არ არის. ჯერ უნდა შეისწავლო, რომ იბასო...

უელეტონი

უცხოთა უორის

ღარიბ-ღატაკნი მდიდარ სახელმწიფოს მდიდარ ქალაქში.—კიდევ ბისმარკის შესახებ: ბისმარკი, ღვინო და პუტუნსი.—ბისმარკის უღმობულოება და შეილების სიყვარული.—ბისმარკი.—რუს-პუბლიკის მოტრფილად და იმპერატორის ერთგული მსახური.

ლონდონის ერთის გაზეთის კორესპონდენტმა დაჰბეჭდა ფრიალ საყურადღებო წერილი შესახებ იმისა, როგორა სცხოვრობს ხალხი ლონდონის ერთს უბანში, რომელსაც სახელად ეწოდება „Slum“. ამ სიტყვის გადმოთარგმნა ქართულად ყოველად შეუძლებელია. ეს სიტყვა ნიშნავს შორეულსა, მიყრუებულს და ქუჩუიანს ქუჩას, მაგრამ ლონდონის მცხოვრებს სახელი „Slum“ გარდაეჭვა იმის გამოსახატავად, რასაც ჰხატავს ჩვენებური „ჯანდაბას“ და „ღოზანას“. გაზეთის კორესპონდენტი ამ უბანში შემდგენს შემთხვევის წყალობით ყოფილი. ვილაქ მდიდარმა ქველმოქმედმა გაუგზავნა ერთს მღვდელს საქმიო ფული და სთხოვა, ლონდონის იმ მცხოვრებთ დაურჩევთ, რომლებიც ყველაზედ ღარიბნი და გაჭირვებულნი აღმოჩნდნენ, განურჩევლად მათის ჩამომავლობისა და სარწმუნოებისა. მღვდელ-

ლმა გადასწყვიტა ენახა ყოფა-ცხოვრება ლონდონის ღარიბ-ღატაკ უბნებისა და ამისათვის მიიწვია ზემოხსენებული კორესპონდენტი და რამდენიმე მეგობარი. ყველანი გაემართნენ „Slum“-ის უბანში ბეჭეტროლენის ქუჩით. ამ ქუჩაში მუდამ შეწვარის თევზის მყარალი სუნი სდგას, ყველგან საზარელი ტალ ახი და უსუფთაობაა, ქუჩაში შიშველ-ტიტველი ბავშვები დაწანწალდებენ, მშვიერ-მწყურვალნი. ამ ქუჩას რომ ჰნახავს ადამიანიო, სწერს კორესპონდენტი, იმ წამსვე იმას იფიქრებს, რომ უღიდესის ქალაქის ამ მყარალ და ბინძურ ქუჩაში თავი მოაუყრია ყველაფერს, რაც-კი დედა-მამის ზურგზე უბედურება არისო. ლონდონი საზოგადოდ ხშირად ბურჟუით არის ხოლმე მოცული, მაგრამ ამ უბანს ეს ბურჟუი თითქმის არაოდეს არ მოსცილებია. მღვდელმა, კორესპონდენტმა და ორიოდე იმათმა მეგობარმა არ იცოდნენ, საიდგან დაეწყათ ამ უბნის დავლა, მაგრამ ამ დროს მივიდა იმათთან ერთი მოხუცი დედაკაცი. დედაკაცს ფეხზედ რაღაც ეცვა, რაც, შეიძლება, ათის წლის წინად მამაკაცის ფეხ-საცმელს წარმოადგენდა. ტანზედ დაფლეთილი ძონძები ჰქონდა შემოხვეული. დედაკაცმა ხელი გაუწოდა და დაბალის ხმით მოწყალება სთხოვა „შოლოდ ერთი პენსი მაჩუქეთო“. მღვდელმა აღერსიანად უთხრა, უფ-

რო მეტს შემწეობას აღმოგიჩნეთ, თუ შენს ბინას გვიჩვენებო. დედაკაცი ძლიერ გაოცდა. ეტყობოდა, სრულებით ვერ შეეგნო დავერ წარმოედგინა, რომ ვისმე ადამიანის შვილს ფიქრად მოუვიდოდა იმისის სადგურის ნახვა. „კარგი, წამოდიო“, უთხრა ბოლოს და გაუძღვა ისეთის ჩქარის ნაბიჯით, როგორც-კი შეეძლო. ორი ვიწრო ქუჩა გაიარეს და აქ დედაკაცმა თავი შეჰყო ისეთს კარებში, რომ იქ შესასვლელად ადამიანი ორად უნდა მოღუნულიყო. შევიდნენ ეზოში, რომელმაც კორესპონდენტს გაახსენა დანტეს მიერ აწერილი ჯოჯოხეთი. ნუ თუ აქ ხალხი სცხოვრობს? ძალაუნებურად ფიქრობდნენ ახლად მისულნი და ზიზღისაგან ყველანი კანკალმა აიტანა. სადგურის არც ერთს ოთახის ფანჯარას მინები არა ჰქონდა. ფანჯრები გაზეთის ქაღალდით იყო გაკრული. მოხუცმა დედაკაცმა ერთს კიბესთან მიიყვანა ყველანი და უთხრა, ფრთხილად ამოდიოთ. მართლაც, კიბემ ისეთი ქრატუნი დაიწყო, რომ თითქოს ეხლავე უნდა დაინგრესო. ძლივს ავიდნენ ზემო სართულში და იქიდან ბანზე და შევიდნენ დედაკაცის ოთახში. თვალ-წინ წარმოუდგათ ძველი, დაფლეთილ-დაკონკილი ლეიბი, ფეხ-მოტეხილი მაგიდა და ასეთივე ერთი სკამი. სტუმრებს დაუხვდა დედაბრის ქალიშვილი, რომე-

ლიც ადამიანის გვამს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს. ეს დედაკაციც გაოცებით შესცქეროდა სტუმრებს და ვერ მოეფიქრებინა, რისთვის მოვიდნენო. დედაკაცმა ორის სიტყვით შეატყობინა სტუმრებს თავიანთი ვითარება. დედას მუშაობა აღარ შეეძლო და მოწყალებას თხოვლობდა. ქალიშვილი ტომრებსა ჰკერავს და კვირაში 4 შილინგს იღებს (შილინგი—მანათია) ამ ფულიდგან 2/3, შილინგი სახლის ქირა უნდა მიეცათ. ამგვარად ორს ადამიანს კვირაში 1 1/2 შილინგად უნდა ეცხოვროთ. რალა თქმა უნდა, რომ სახლის ქირა დაეღოთ და პატრონი ძალას ატანდა—სახლი დამიცალეთო. მღვდელმა საქმიო ფული მისცა საბრალო დედაკაცებს, რომ სახლის ქირა გადაეხადნათ და გარდა ამისა იმდენი ფულიც დაუტოვა, რომ რამდენსამე ხანს ეყოფოდათ საცხოვრებლად. ამავე სახლის მეორე სართულში ჩვენმა ქველ-მოქმედებმა ჰნახეს პატარა, ბნელი სარდავი, რომელშიაც ერთი დედაკაცი რაღაც ჩერებსა რეცხავდა. მას გარს შემოხვეოდნენ შიშველ-ტიტველი ბავშვები. ამ დედაკაცის ქმარი რამდენსამე თვეს უსაქმოდ ყოფილა დარჩენილი და მთელი ოჯახი მშვიერ-მწყურვალნი ჰყავდა. ამას ჰმოწმობდა თვით ჩამომხმარი სახე ცოლ-შვილისა. უეტრად ოთახის მწელ კუთხიდან კვნესა მო-

დამი „კვალის“ მიერ მოლოდინი წყალობა საქვეყნოდ გამოვაცხადებო, შეგველო აქ წერილი დაგვეცა და ამით გაგვეთავებინა, თუ არ ერთი გარემოება. საქმე ის არის, რომ „კვალმა“, როგორც სწვევია, თავის მცირე შენიშვნაში ერთი დიდი სიტყვე გა-მოახოხორკია. ეს სიტყვე-კი ის ვახლავთ, რომ ვითომც მოწინააღმდეგენი „კვალის“ მეცნიერთ ვერ გაუშვალდნენ, ვეღარ გაუძლეს ვერც თვისი სწავლა-ცოდნით და ვერც მით, რომ ეგრობის მსხვილ-მსხვილი ავტორიტეტები მოიშველიეს, და ახლა ჩაჩუქდნენ, ხმა ჩაიწყვიტესო. აი, ეს ცხადი და მტკნარი სიტყუეა, რადგან საქმის ნამდვილი ვითარება სრულიად სხვა გვართ არის. საქმე ის არის, რომ ნამდვილად თითონ „მოდღვების მქადაგებლებმა“ იყუჩეს, ჩაჩუქდნენ და ხმა ჩაიწყვიტეს“ და არა მათმა მოწინააღმდეგებმა ე. ი. ბრძოლის ველი იმათ განუტევს და იქიდან სამარცხვინოდ გაიქცნენ. „მოდღვების მქადაგებლებმა“ და მკითხველთაც კარგად უწყიან, რომ „მოამბის“ შარშანდელ მესამე და მეოთხე ნომრებში დაიბეჭდა ბ-ნ. ფხას წერილი, სწორედ ამ მოძღვრებისა და მის მქადაგებელთა საწინააღმდეგოდ. მას აქეთ ამ ვაებატონებმა; ამ მოძღვრების მქადაგებლებმა, პირში წყალი დაიგუბეს და ხმა გაკმინდეს... ახლა მკითხველმა თითონ სთქვას, რა უნდა დაერქვას ამ განგებ შეხან-ხლულს სიტყუეს! ეს სიტყუე-კი „სამეცნიერო“ „კვალის“ რედაქციაში იმიტომ გამოახოხორკიეს, რომ სურდათ თვისი თავი შეეკოთ და თვისი სულის ჩამდგმელებიც გაეხმევებინათ: შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართ დარაზმულნი! ყველა ვძლიეთ და დავამუწუეთო!.. ერთი გარემოე-ბაც.



ჩვენს თარგმანს მცირე შენიშვნა გავუკეთეთ. ამ შენიშვნას, რასაკვირველია, ნიშანი ამოღებული ჰქონდა. ჩვენ დიდი კმაყოფილება მივიღეთ, რომ ჩვენ მიერ ტყუარცნილი ყუზმბარა ნიშანს შუა გულში მოხვედრია. აქედან მიანც დარწმუნდეს „სამეცნიერო“ „კვალი“, თუ არა სურს სულ დაკარგოს გზა და კვალი, რომ ჩვენთან ბრძოლა არ აღვილი, საშიშია: რადგან ნიშანს არას დროს არ ავაცილებთ და „ყბედს“ (ასე უწოდებს თავის თავს „სამეცნიერო“ „კვალი“ თავის შენიშვნაში) კი არ დავუშვებდებით. არამედ, თუ იგი საზოგადოებისათვის მანებდეს რასმე მოიქმედებს, ან იქადაგებს, მას, ნიშანში ამოვიღებთ და... ჩვენს მცირე შენიშვნას მართლაც ძლიერ აუწვავს „სამეცნიერო“ კუდი „კვალი“ რედაქციისა. ამიტომ მოსაზრება დაპყარვია და წარმოსდგენია, რომ თუ ვინმე რასმე სამეცნიეროსა და სალიტერატუროს სთარგმნის, ამას ვითომც მოძღვრების მქადაგებელთა დასაფრთხობად სწადის. მაგრამ ეს რა საკადრისია! მართალია, „სამეცნიერო“ „კვალი“ „ყბედი“ ვინმეა, მაგრამ ჩვენ, კარგად ვიცით, რომ იგი ყბედი ჩხიკვი და ყბედი კაკაკი როდია, რომ შემოსულის ყანის მისგან დასაცველად მხოლოდ და მარტო ოდენ ძონძების გამოკიდვა ჰქმაროდეს საფრთხობელად. ინუგეშეთ! ეს არავის ფეკრადაც არ მოსვლია. ჩვენი ზრდა ცხადი და გარკვეულია, რომ ის უმეცრებას ნადავია, რომელიც ასე ლაღად ჰქვამს „სამეცნიერო“ „კვალი“ „ყბედი“ უნდა გამოეცალხოს. ამას მისაღწევად კი ჩვენ ხელთ ერთადერთი ახრდა: საზოგადოებასა და შეათხველთა შორის ნამდვილი სამეცნიერო ცოდნა, სამეცნიერო კვლევა გაკარგვით რომ გორც თარგმანების საშუალებით, ისე

არაგინაღ წყარალებით *).
სანამ ეს ასე მოხდებოდეს და ჩვენი წადილი აღსრულდებოდეს, იმ დრომდე „კვალი“ რედაქციას გზა ფართოდ აქვს გაშლილი და შეუძლიან თვისი ჩვეულებრივი ხელობა განაგრძოს: ილანძლოს, იგინოს, პირადობას შეეხოს და, ვინც ტაში დაუკრას, იმათგან ბრბო შეადგინოს, მათ შორის ასაკიუკუ ითამაშოს და მალაყზე გადავიდეს...
ბოლოს ჩვენს მხრივ გულწრფელს რჩევას მივცემთ „სამეცნიერო“ „კვალი“ რედაქციას, რომ უკვდავის პოეტის ნ. ბართაშვილის დევიზი შეიგნოს და შეითვისოს და ნუ იზამს ისე, რომ „მისცეს წყევალ ივის სახელი შთამამავლობას“.

ი. ფანცხავა

რუსეთი

სამრევლო-საეკლესიო სკოლების მხარის მეთვალყურეთ დავეალათ დრო-გამოშვებით ინახულონ სხვა უწყების სასწავლებლები და თვალყური ადევნონ ხოლმე საღმრთო სჯულის სწავლის საქმეს ამ სასწავლებლებში.
— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრად აქვს, იმათ, ვინც შიდა რუსეთიდან რუსეთის განაპირა ქვეყნებში გადასახლებას დაპირებენ, გააყოლოს ხოლმე თან აგრანომი. ამ აგრანომ დავალებული ექმნება გამოიკვილოს ის მიწები, სადაც ახლად გადასულნი დასახლებას აპირებენ და გაიგოს რამდენად გამოსადეგი იქმნება ეს მიწები დასახლებლად.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრად აქვს, იმათ, ვინც შიდა რუსეთიდან რუსეთის განაპირა ქვეყნებში გადასახლებას დაპირებენ, გააყოლოს ხოლმე თან აგრანომი. ამ აგრანომ დავალებული ექმნება გამოიკვილოს ის მიწები, სადაც ახლად გადასულნი დასახლებას აპირებენ და გაიგოს რამდენად გამოსადეგი იქმნება ეს მიწები დასახლებლად.
*) ერთხელაც იქნება მოკლიოს დროს „სამეცნიერო“ „კვალი“ მეცნიერებას შეეხებოთ.

ავტ.

— მიწად-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო ბესარაბიის მედენიების სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას საშუალო კურსები იმათთვის, ვისაც განათლების მხრივ უფლება არა აქვთ ამ სასწავლებელში შესვლისა. კურსებზედ უფლებამონდ მიიღებენ იმათ, ვისაც ორკლასიანი საქალაქო და სასოფლო-სასწავლებელი და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი აქვს გათავებული, ხოლო ვისაც არა აქვს გათავებული, ეგზამენი უნდა დაიჭიროს იმ საგნებში, რომლებსაც 2 კლასიან სასოფლო სკოლებში ასწავლიან. სწავლის ვადა ამ კურსებზედ ორი წელიწადი იქმნება. სწავლა ყველასათვის უსასყიდლო იქმნება; უსასყიდლოდვე დაეთმობა მოსწავლეებს სადგომი. შენობის აგებას უკვე შეუდგნენ და სწავლება მომავლის წლის შემოდგომაზედ დაიწყება.

— სატახტო ქალაქის ვაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრად აქვს შეიმუშავოს ახალი წესები, რომლებითაც ქალაქის გამგებობათ უნდა იხელმძღვანელონ ქუჩების მოკირწყვლის, რკინის გზების, არხების გაყვანის და სხვა საქმეების იჯარით გაცემის დროს.

უცხოეთი

საზრანგეთი. გაზ. „Radical“.
ის სიტყვით, საკასაციო სასამართლოს ნამდვილად გაუგია, რომ პოლიტიკაში ანტი, რომელიც წარსულ ზაფხულში თავი მოაგვია, უკვე წელს 30,000 ფრანკს სწავდა თუმცა, თუმცა განხანაერი შემოსავალი 8000 ფრანკის მეტი არა ჰქონია. გაზეთი არ იტყუებოდა, რომ ამ ფულს საზღვარ-გარეთადგან უკვანადნენ ანრის მთავარ

შტაბის საიდუმლოებას გაცემის ფასად და შუა კაცი ესტრეგაზი აყო ამ საქმეშია. ამის შემდეგ, გაზეთის აზრით, დრეიფუსის საქმე სრულებით გამოკვლეულად უნდა ჩათვალოს. როცა სასწავლო მინისტრმა გაიგო, რომ მთავარ შტაბადგან საიდუმლო ქაღალდები აგარგება, ანრისა და ესტრეგაზი დრეიფუსის დადგენა განიზრახეს და ის დასასჯელს ჰქვენი მოაღატკად. ამის დასამტკიცებლად საბუთები აყო საჭირო და უახლეს საბუთების შედგენას მოახსენეს ანრისა და ესტრეგაზი.

ანრის ქვეყანა წყარად დასპეჭდა „Siecle“-ში, სადაც ის ამტკიცებს, რომ ჩემი ქმარი ალალ-მართალი გაცი აყო და ტყუილად სდებენ ბრალს, ვითამც ის ჰაშუში უფთავდებოდა. იგი ერთად ზომიერად სცნობდა და მხოლოდ სამშობლოს კეთილ დღეობისათვის ზრუნავდა.

— საკასაციო სასამართლოს ცნობად გამოძიებულ ბურტოელიისთვის ჩამოერთმევა ჩვენება დრეიფუსის საქმის შესახებ და მისი ჩვენება, როგორც ამბობენ, ერთად დიან შესანიშნავი უფთავა. სასამართლოს საჭიროდ უნდა კიდევ გაიხსნავოს რამდენიმე სასჯელი.

— ერთი გაზეთი ამტკიცებს, რომ საიდუმლო ფაისეს გადაცემა საკასაციო სასამართლოსთვის ჟურ არ გადაუწვევია სამსჯედრო სამინისტროსა. ამბობენ, საკასაციო პალატის თავმჯდომარეს ლევის და სამსჯედრო მინისტრს ფრეისინეს რამდენჯერმე ჰქონათ თათბირი სხენებულ ფაისეს შესახებ. — ლევის ვითამც ვერ ეკასრებოდა პარლამენტში, რომ საიდუმლო ფაისე არ გადაეცემის ბ-ნს მარხანს, როგორც ექვალს დრეიფუსის სასჯელისას. ფრეისინე-ვი თავის მხრივ უარს ამბობდა ფაისეს მიცემისას, საიდუმლოდ თუ არ იქნება იგი დაცულია.

ბელგია. ბელგიის იუსტიციის მი-

მიუხედავად ამისა, ბისმარკმა ხანდახან თითქოს გაჯავრებაც იცოდაო. კრონპრინცის ფრიდრიხის ჯარმა რომ დაამარცხა მაკ-მაგონისა, ფალიისა და კონრობერის ჯარები, ბისმარკმა თითონ გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „ამომოდე ტყვედ წამოვიყვანეთ 4000 ფრანგი, ამათში 100 ოფიცერი, გარდა ამისა ჩვენ დაგვრჩა 30 ზარბაზანი, 6 თოფი, ორი არწივი. საფრანგეთის ჯარი უკან დაიწვეს და უკანაქსნელი დიდი ბრძოლა თვით საფრანგეთში უნდა მოხდეს, მაგრამ ფრანგები ძლიერ უადამინუროდ იქცვიან და თითონვე სწავენ ქალაქებს. ეს საქციელი უფრო უნდა დაისაჯოს, ვიდრე ჩვენის მშვიდობიანის სამშობლოში გასაძარცვად შემოსევის სურვილი. და ზეცა დასჯის ფრანგებს ჩვენის მეომართა მარჯვენით, რომელიც აღელვებულნი არიან ასეთის ძალადობით“.

ფრანგები მართლაც დაისაჯნენ, მაგრამ მეომართა მარჯვენით იმდენად არა, როგორც თვით ბისმარკის გულ-ქვაობითა, შეუბრალებლობითა და უღმობელოობით. მაგრამ როგორ შესწულდა ბისმარკი, როცა გაიგო, რომ იმის შვილი დასჯრეს ომში. ამ ბრძოლაში ბისმარკის ორივე შვილები ერივნენ. 17 აგვისტოს დილით ბისმარკს მოახსენეს, რომ მარს-ლია ტურომთან ბრძოლაში მრავალი ოფიცერი იქმნა მოკლული, მათ შორის

ნასტრის პარლამენტში განხილულია წარუდგენია, რომლითაც, პარლამენტში თუ შეიწინააზრებია, 100—1000 ფრანგი გადახდება მის, ვინც 16 წლისა-ზედ სწავლუბა ბაშუბთან ჩნობას გამათხსირებულ შინაარსის ლექსებს ამღერს, ანუ ცნებში ჩაისმის ერთადგან სამს თეგმდე.

თეატრის მატიანე

„რუსთაველი“, პიესა 4 მოქმედ. კ. მესხისა (სიუჟეტი აღებულია).
„აყალმაყალი ცოლ-ქმარ შუა“ ვოლგეილი 1 მოქმედ. ვალმოკ. ა. ტიჭინაძის მიერ.

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, ქართულმა დრამატულმა დასმა ქნ კარგარეთელის საბენეფისოდ წარმოადგინა „რუსთაველი“, 4 მოქმედ. პიესა. ეს პიესა რამდენჯერმე წარმოუდგენიათ ჩვენს სცენაზედ და ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი მისი შინაარსი და აგრეთვე ვანხილვა *).

პიესაში უმთავრესი როლები ალასრულეს ქ-ნმა მესხმა თამარ მეფისა, ბ-ნმა კ. მესხმა—შოთა რუსთაველისა, ბ-ნმა გუნიამ—ლიპარიტ ორბელიანისა და ბ-ნმა სვიმონიძემ—გედეონ ორთელიშვილისა. თვით მობენეფისეს ეკისრა პაწია როლი მალხაზისა, შოთას ვაზრდილსა.

საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით კარგი იყვნენ თამარ მეფის როლში ქნი მესხი და ბ-ნი გუნია—ლიპარიტ ორბელიანის როლში. დანარჩენ უმთავრესის როლების აღმასრულებელნიც გულდასმით მოჰქიდებოდნენ თავის მოვალეობას. ესევე არ ითქმის რეჟისორის შესახებ. სცენა ყოველად ღარიბი და მოუწყობელი იყო. მეორე მოქ-

*) იხ. „ივერია“ №№ 28, 29 და 31—1890 წლისა.

ბისმარკის ერთი შვილი დასჯრეს და მეორე მოჰკლესო. ბისმარკი წარბსაც არ შეიხრბდა ხოლმე, როდესაც იმის თვალწინ თოფითა ხერტავდნენ ტყვედ წამოყვანილ ფრანგებს, თუმცა იმათაც ხომ ჰყავდათ დედ-მამა. მაგრამ, როდესაც გაიგო თავისის შვილების ამბავი, ძლიერ აღელდა და მაშინაც ვერ დამშვიდდა, როცა გაიგო, ვილჰელმი სრულებით უფნებლად გადარჩა და გერბერტი თუმცა დაქრილია მაგრამ ძლიერ სუბუქადაო.

ერთს საოცარს ამბავსა სწერენ გერმანიის ჟურნალ-გაზეთები. თურმე ბისმარკს ძლიერ მოსწონდა რესპუბლიკანური მმართველობა. ეს თვით ბისმარკმა უთხრა ერთხელ ამერიკელ გენერალ შერიდანს, რომელიც გერმანიის ჯარს გაჰყვა საფრანგეთში. ბისმარკმა უთხრა, სახელმწიფოს ყოველ გვარ მმართველობას რესპუბლიკა სჯობდა, მაგრამ ასეთი მმართველობა გერმანიისათვის ჯერ აღრე არის, რადგანაც რესპუბლიკისათვის ჯერ საკმაოდ არ არის მომზადებულია. მიუხედავად ამისა ბისმარკმა ანდერძად დატოვა, ჩემს ძველს დააწერეთ ეს სიტყვები: „ერთგული მსახური მეფის ვილჰელმ პირველისაო“.

ა. ნ.

საფარი.
ასე დაიარეს მღვდელმა და კორესპონდენტმა მთელი უბანი. ყველგან ჰხედდებდნენ საზარელს სიღარიბესა და სიღატაკეს და გაოცებულნი დარჩნენ და ვერ მოეფიქრათ, რითი და როგორა სცხოვრობს ეს ხალხი და დიდის ხნის შიმშილის გამო რატომ სული არ ამოხდათო.

მთელ საათს იარეს მღვდელმა და კორესპონდენტმა ამ უბანში და ორისა ან სამის დღის სამყოფი ფული დაურიგეს ღარიბ-ღატაკ ოჯახებს. შემდეგ მეორე უბანში წავიდნენ. აქ ქველ-მომქმედთ შემოეხვია მშვიერი ხალხი. ყველას პირში ჩიბუხები ჰქონდათ. თამაქო არავის არა ჰქონდა, ქუჩაში სიგარების ნამწვებსა ჰკრებდნენ და იმასა სწევდნენ, რა არის ცოტა მიანც სიმშლილი მოვიკლათ თამაქოს კვამლითაო. გაიგო თუ არა ამ ხალხმა, ქველ-მომქმედნი მოვიდნენო, მშვიერ მგლებივით მისცივდნენ და მღვდელმა ძლიერ დაიყოლია, თქვენს სახლებში წადით და ყველას გმწვევითო. თითქმის ყველა ოჯახი დაიარეს ქველმომქმედებმა, მაგრამ ვერც ერთს სახლში ვერა ჰნახეს ისეთი კაცი, რომ ეთქვას, ერთხელ მიანც ჩემს სიცოცხლეში მძღარი ვიყავიო. ყველგან ეს ესოდათ: ოჯახის უფროსი რამდენსამე თვეს უდგებოდა და უსამსახუროდ არის და ღმერთმა უწყის, რითი და როგორა სცხოვრობს იმისი ოჯახი.

არსად არც ავეჯი, არც საწოლი, არც ლოგინი; ყველგან ფანჯრებში მინების მაგიერად ვაზეთის ქალაღი, ყველგან სიბნელე, სიცივე და მყრალი ჰაერი. ყველანხედ მეტად ეს უბედურები ჩიისა თხოულობდნენ. ჩიი საყვარელი სასმელია ინგლისელებისა. ჯერ ერთი რომ ათობს და სხვა საქმელის უქონლობისა გამო, ჩიის ჰურს ატანენ და ისე იკლავენ შიმშილს. ჩიის უფრო თხოულობდნენ, ვიდრე ჰურს. ზოგი უბედური სრულებით ხმას არ იღებდა და ქველმომქმედთ ვერაფერი ჩავიანეს. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ამ უბედურთა შორის ზოგი მეტად კეთილის გულისა აღმოჩნდა. ერთმა ღარიბ-ღატაკმა კაცმა, რომელსაც სახელი განმარ ჰურის მეტი არაფერი მოეოგებოდა, უარი სთქვა მოწყალეების მიღებაზე და ერთს ცოლ-შვილიანს კაცზე მიუთითა, იმას დაეხმარებოთ, ჩემზე ძლიერ ის არის გაკირვებულიო. ასეთი სიღარიბე არის თურმე მთელს ქვეყანაზედ სიმდიდრით განთქმულ ინგლისის მდიდარ სატახტო ქალაქში...

1 სექტემბერს, 1870 წელს, საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომის დროს, გერმანიის ჯარი სედანში იყო, ძლიერა ცხელოდა. ჯარი წყურვილით იტანჯებოდა და, რა თქმა უნდა, მათ შორის თვით ბისმარკიც. უეცრად ბისმარკს შემოხვდა თავადი

პუტბუსი აბგი, რომლიდგანაც ბოთლი მოჩანდა.

— არის რამე ბოთლში?—ჰკითხა ბისმარკმა.

— გახლავთ.

— შეიძლება დავლიო?

— ინებეთ.

ბისმარკმა ამოიღო პუტბუსის აბგიდგან ღვინო და მოიყუდა. დიდ ხანს ელოდდა საბრალო პუტბუსს, იმ იმედით, რომ კანცლერი ბოთლს მოიშორებს პირიდგან, რადგანაც იმ დროს ბრძოლაზე უნდა ეფიქნა, მაგრამ ბრძოლის შესახებ ფიქრმა ვერა სძლია ღვინის სიყვარულს და ბისმარკმა მხოლოდ მაშინ მოიშორა ბოთლი პირიდგან, როდესაც სულ გამოსწურა. მერე ცალიერი ბოთლი გადასცა გენერალს და უთხრა:— გამადლობ, პუტბუს!

მთელის ომის დროს სიმშვიდემ ერთხელაც არ უღალატა ბისმარკს. ყველამ კარგად იცოდა, რომ სედანში დიდი სისხლის დერა უნდა მომხდარიყო. ბისმარკი მინდვრად მიდიოდა და ათვალეერებდა იმ ადგილს, რომელიც მეორე დღეს სისხლით უნდა მორწყულიყო.

უეცრად ბისმარკი დაიღუნა, რადკაცს მოჰქიდა ხელი და მალა ასწია.

— ჩემი პირველი ტყვე!—წამოიძახა ბისმარკმა მხიარულად. ბისმარკს ხელში კურდღლის ბაკია ეჭირა.

